ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვალებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|--|--------------|
| • შენობა-ნაგებობები | • 20-30 წელი |
| • სამედიცინო ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | • 5-10 წელი |
| • სხვა ძირითადი საშუალებები | • 5-10 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ვალდებულებებს და არც ერთი მათგანს არ გააჩნია 12 თვეზე მეტი გადახდის პირობა.

შპს გორმელი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა ჯგუფზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა ჯგუფის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებითი შენიშვნაში.

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება შესრულებული მომსახურების კორექტირებით. საანგარიშო პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამედიცინო მომსახურების გაწვიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის მთავარი ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე პირები.

სამედიცინო მასალების და მომსახურების ხარჯები

პერიოდის ხარჯი მოიცავს სამედიცინო და კვლევითი მომსახურების გაწევაზე გახარჯული მარაგების თვითღირებულებას პირდაპირ ხელფასებს და სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ და მიკუთვნებულია იმ პერიოდის ხარჯებს, რა პერიოდის შემოსავლების გენერირებაც მოახდინა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ, ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

4. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

ჯგუფი წინა პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდის საწყის ნაშთებს. მიმდინარე პერიოდში ჯგუფმა შეცვალა ხარჯების კლასიფიცირების და მისი წარდგენის პრინციპები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შესაბამისად მოახდინა მისი გადაანგარიშება რეტროსპექტიულად გასულ საანგარიშო წელზე.

ცვლილება 2021 წლის 31 დეკემბრით მოზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

აქტივები	გადაანგარიშებული	გადაანგარიშების ეფექტი	წარდგენილი
ძირითადი საშუალებები	10,411,938	24,649,422	35,061,360
კაპიტალი და ვალდებულებები			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	-	17,615,059	17,615,059

შპს გორმელი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცვლილება 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

	გადაანგარიშებული	გადაანგარიშების ეფექტი	წარდგენილი
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(755,244)	(817,133)	(1,572,377)

შენიშვნა 5 - შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი სოციალური მომსახურების პროგრამებიდან	15,138,941	26,926,659
შემოსავალი კვლევებიდან	1,836,878	1,993,791
შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებიდან	457,065	702,701
შემოსავალი ფიზიკური პირების მომსახურებიდან	983,839	2,031,492
შემოსავალი სხვა სამედიცინო მომსახურებებიდან	32,803	201,279
სულ შემოსავალი	18,449,526	31,855,923

ცხრილში მოცემულია საანგარიშო პერიოდებში დაფინანსების შესაბამისად მიღებული შემოსავლები, რომელშიც კორექტირებულია შესრულებების მიხედვით.

შენიშვნა 6 - სხვა საოპერაციო შემოსავლები	2022	2021
შემოსავალი მედიკამენტების და სისხლის რეალიზაციიდან	391,158	494,514
საიჯარო შემოსავალი	153,255	149,640
შემოსავალი პრაქტიკული კურსებიდან	20,450	2,653
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგი	2,654,255	-
სხვა შემოსავალი	678,196	1,632,285
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	3,897,315	2,279,091

შენიშვნა 7 - გასაყიდად გამიზნული აქტივები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს დედა კომპანია ფლობს მხოლოდ მეკავშირე საწარმოს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „გორმელი“ ფლობდა ერთ გასაყიდად გამიზნულ აქტივს და მეკავშირე საწარმოს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე იდენტიფიცირებულია ერთი შვილობილი და ერთი მეკავშირე საწარმოები. 2023 წელს მოხდა აღნიშნული შვილობილი კომპანიის სს „იავნანა“-ს წილის სრულად გასხვისება.

შენიშვნა 9 - შეწყვეტილი ოპერაციები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის გასაყიდად გამიზნული აქტივები მოიცავს:

აქტივები	
გრძელვადიანი აქტივი	
ძირითადი საშუალებები	264,121
მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	140,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	404,121
მიმდინარე აქტივები	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	112,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	649,261
ფული და ფულის ექვივალენტები	727,360
სულ მიმდინარე აქტივები	1,489,467
სულ გასაყიდად გამიზნული აქტივები	1,893,588

შპს გორმელი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაყიდად გამოწვნილი ვალდებულებები შედგება:

მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,237
გადასახდელი ხელფასები	2,336
საგადასახადო ვალდებულებები	(343)
გასაყიდად გამოწვნილი ვალდებულებები	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	7,231
სულ ვალდებულებები	7,231

2022 წელს მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან იყო:

შემოსავალი მომსახურებიდან	2,374,794
სხვა საოპერაციო შემოსავლები	391,405
სამედიცინო მასალების ხარჯები	(357,784)
პერსონალის ხარჯები	(1,477,639)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(46,079)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(292,402)
საოპერაციო მოგება	592,295

ფინანსური შემოსავალი	364,505
მოგება დაბერგვრამდე	956,800
მოგების გადასახადის ხარჯი	
წმინდა მოგება	956,800

შენიშვნა 8 - სხვა საოპერაციო ხარჯები	2022	2021
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	4,074	7,515
სარემონტო ხარჯები	437,308	220,269
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	346,174	107,368
მომსახურების ხარჯები	273,517	1,093,029
საოფისე ხარჯები	115,141	106,477
სოციალური დანარიცხები	83,463	107,494
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	72,648	74,885
საკონსულტაციო ხარჯები	47,000	17,450
კომპიუტერის ხარჯები	33,065	46,089
კომუნიკაციის ხარჯები	24,569	26,227
სხვა ხარჯები	424,930	512,569
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,861,889	2,319,373

შპს გორმედი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	სამედიცინო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა, ავჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება	546,305	-	8,450,037	6,238,702	371,628	1,519,146	392,136	17,517,955
ცვეთა	-	-	(1,644,657)	(3,851,949)	(10,946)	(1,084,744)	-	(6,592,295)
ბალანსი 31/12/2020	546,305	-	6,805,380	2,386,753	360,683	434,402	392,136	10,925,660
დანამატები	431,705	101,695	13,026,975	226,952	2,481	29,831	25,989	13,845,629
აქტივის ჩამოწერა	(347,409)	-	(14,463,302)	(191,213)	(43,732)	-	(16,923)	(15,062,579)
ჩამოფასება	(84,296)	-	-	-	-	-	-	(84,296)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(1,625,787)	(525,065)	(98,233)	(2,993)	-	(2,252,077)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	2,933,161	106,441	-	-	-	3,039,602
ბალანსი 31/12/2021	546,305	101,695	6,676,427	2,003,868	221,199	461,241	401,203	10,411,938
დანამატები	-	338,511	296,139	816,985	-	131,453	26,429	1,609,516
აქტივის ჩამოწერა და გასხვისება	(152,798)	(440,206)	(92,421)	(215,636)	(14,312)	(80,971)	(357)	(996,702)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(122,455)	(553,055)	(73,448)	(136)	-	(749,094)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	12,955	2,904	-	-	15,859
ბალანსი 31/12/2022	393,507	-	6,757,690	2,065,117	136,343	511,586	427,275	10,291,518
ბალანსი 12/31/2021	546,305	101,695	6,676,427	2,003,868	221,199	461,241	401,203	10,411,938
ბალანსი 12/31/2022	393,507	0	6,757,690	2,065,117	136,343	511,586	427,275	10,291,518

შპს გორმედი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 11 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2022	31.12.2021
სამედიცინო მარაგები	649,047	1,168,726
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	64,561	183,213
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	713,608	1,351,939

სხვა მარაგები მოიცავს ისეთ სამედიცინო ინვენტარს, რომლის გამოყენებაც ხორციელდება უწყვეტად სამედიცინო მომსახურების გაწევისას და ამავდროულად მას არ გააჩნია ერთ წელზე მეტი ვადით გამოყენების შესაძლებლობა.

შენიშვნა 12 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	4,521,067	5,809,395
გადახდილი ავანსები	13,354	104,705
სისხლის და პ/ანატომ. მომსახურება	87,250	105,640
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(130,044)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,491,628	6,019,741

	31.12.2022	31.12.2021
1 იანვარი	-	-
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(130,044)	-
31 დეკემბერი	(130,044)	-

სავაჭრო მოთხოვნების არსებით ნაწილი წარმოქმნილია ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ, რომელსაც არ გააჩნია გრაფიკით გაწერილი ანაზღაურების ვადები, რის გამოც ხშირ შემთხვევაში გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი ანაზღაურების მიღება ხორციელდება ვადაგადაცილებით. ამის გამო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ჯამური მოთხოვნის გაუფასურება და მისი ხარჯად აღიარება.

შენიშვნა 13 - ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	5,655,806	9,864,411
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	3,118,304	3,222,697
ნაღდი ფული სალაროში	25,708	9,500
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	8,799,818	13,096,609

შენიშვნა 14 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,330,851	1,536,075
მიღებული ავანსები	3,247	1,696
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე	25,560	13,060
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	30,209	22,144
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,389,868	1,572,975

შპს გორმელი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ ჯგუფს;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2022	2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	347,507	115,955
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,574	11,155

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2022	2021
მარაგების შეძენა	(216,973)	(997,154)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(309,947)	(4,927)
მომსახურების შეძენა	(3,192)	(17,200)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	23,810
სხვა შემოსავალი (იჯარა)	6,000	6,000
შემოსავალი მედიკამენტების რეალიზაციიდან	71,654	172,149

	2022	2021
წამყვან მენეჯმენტზე გაცემული სახელფასო ანაზღაურება	64,753	66,002

შპს გორმედი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფმა გაასხვისა შვილობილი საწარმო 100 პროცენტის მფლობელობით დაკავშირებულ მხარეზე და ამ ტრანზაქციის ღირებულებამ შეადგინა 956,118 ლარი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გორმედი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

2022

შინაარსი

შესავალი	3
საქმიანობის მიმოხილვა:	
ინფორმაცია ჯგუფსა და მისი საქმიანობი შესახებ.....	3
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	4
კლინიკის მოკლე ისტორია:	4
კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა:	5
განვითარების გეგმები	7
ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ.....	8
დამატებითი განმარტებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	9
ანალიზური მაჩვენებლები	9
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	10
კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები	11

შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „გორმედი“ (ჯგუფი), როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, ვალდებულია შეადგინოს და

წარადგინოს მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვა. წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს ჯგუფის საქმიანობის შინაარსს, მოიცავს მიღწეულ შედეგებს, ფაქტობრივ მაჩვენებლებსა და განვითარების პერსპექტივას. ანგარიშგების მიზანია ავსახოს ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი განზრახვა მივადწიოთ ფინანსურ სტაბილურობას, გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და ეფექტიანობა. ჯგუფი მოწადინებულია გააგრძელოს საქმიანობა და განახორციელოს ღიაობის პრინციპი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით.

საქმიანობის მიმოხილვა:

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება: - შპს „გორმედი“;
საიდენტიფიკაციო ნომერი: - 417876711;
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: - 16/12/2011
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
იურიდიული მისამართი: საქართველო, გორი, ცხინვალის გზატ., N14;
საკონტაქტო ტელეფონი: +995 595 582 600
ელ.ფოსტა- G.GORIMEDI@yahoo.com;
გენერალური დირექტორი: ვლადიმერ კეპულაძე;
საქმიანობის სფერო: - სამედიცინო მსახურების გაწევა

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „გორმედის“ ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა. კლინიკა წარმოადგენს მრავალ პროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე, ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს. სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ 2013 წლის 28 მარტს გამოცემული № 02-406/ო ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N005586, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობას სანებართვო მოწმობის დანართის ფარგლებში.

ნებართვები:

- 1.სტაციონალური დაწესებულების ნებართვა №005586;
- 2.ლაბორატორიული საქმიანობა -კლინიკური დიაგნოსტიკა №004100;
- 3.ლაბორატორიული საქმიანობა -ბიოქიმიური დიაგნოსტიკა №004101;
- 4.ლაბორატორიული საქმიანობა -იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა №004102;
- 5.მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკა- №004103;
- 6.ქირურგიული პროფილის საქმიანობა №002707;
- 7.რადიოლოგიური საქმიანობა -რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა №002711;
- 8.რადიოლოგიური საქმიანობა -კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა №002712;
- 9.პათოლოგ ანატომიურის აქმიანობის ლიცენზია №002137;

10. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENCY - №002136;
11. რეანიმაცია №002710
12. დიალიზი №003123;
13. ნეიროქირურგია №002708;
14. ინტერვენციული კარდიოლოგია №003099
15. სამეანო გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა-გინეკოლოგია №002709;
16. ოფთალმოლოგია №002713;
17. ოტოლარინგოლოგია №002714;
18. საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია №002138;
19. ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა №002705;
20. ონკოლოგია №002706;

კლინიკის მოკლე ისტორია

კლინიკა არსებობს 2012 წლის იანვრიდან და დღეის მდგომარეობით არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ და დიაგნოსტიკურ მომსახურებებს.

კლინიკა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულებაა.

კლინიკის მთავარ შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე, ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები. გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საკუთარი, სამედიცინო ჟანგბადის მიმღები (წარმოება) დანადგარი.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა მოსახლეობას 150-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალია: ახალშობილთა ინტენსიური მოვლა; სამეანო - ნეონატალური საქმიანობა; ნეონატოლოგია; ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა; ონკოლოგიური და ქირურგიული პროფილის საქმიანობა; ფსიქიატრია (მათ შორის, ბავშვთა და მოზრდილთა); ნეიროქირურგიული საქმიანობა; ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურება და სხვა. კლინიკაში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 669 თანამშრომელი.

დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	2022	2021
დასაქმებულთა რაოდენობა წლების მოხედვით	669	610

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას, ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ.

კლინიკის საქმიანობა ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე, ვინაიდან მისი შემოსავლების 90 % დაფინანსებულია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

შემოსავლები, რომლებიც მიღებულია 2022 წელს დიფერენცირდება „გორმედის“ კლინიკური განყოფილებებისა და დეპარტამენტების მიხედვით. ასევე ანგარიშდება მოიცავს 2022 წელში დაყოვნებული საწოლდღეების რაოდენობას.

მათ შორის:

თერაპიული სამსახური

2022 წელი მკურნალობას გადიოდა 254 პაციენტი. სულ გატარებულია 1210 ს/დღე; ლაბორატორიული დეპარტამენტი: 54 ლაბორატორიულ დეპარტამენტში სრულდება სტანდარტით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის კვლევები, მაგალითად: კლინიკური; ბიოქიმიური; სეროლოგიური; კოაგულოლოგიური; ციტოლოგიური; იზოსეროლოგიური და იმუნოლოგიური.

ა) სულ ჩატარებულა 209750 ანალიზი 76447 პაციენტზე, მათ შორის ამბულატორიულად ჩატარებულია 121804 გამოკვლევა;

ბ) გამოკვლეულია 87946 სტაციონარული პაციენტი.

მიმღებ-გადაუღებელი მედიცინის სამსახური - EMERGENCY:

წლის განმავლობაში მიღებულია 8773 პაციენტი, 24 საათამდე დაყოვნებით. აქედან თვრამეტი წლის და მეტი - 6198 პაციენტი, 15 -დან 18 წლამდე - 2246 პაციენტი, 15 წლამდე - 324 პაციენტი, ერთწლამდე ასაკის - 5 პაციენტი.

კარდიო-ინტენსიური სამსახური:

კარდიო ინტენსიური სამსახურის 2022 წლის მონაცემების მიხედვით საანგარიშო წელს მიღებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 1480 პაციენტი, რომელმაც საწოლდღეების მიხედვით შეადგინა - 7007 საწოლ/დღე.

ნევროლოგიური სამსახური:

ა) 2022 წელს ნევროლოგიურ სამსახურში ჰოსპიტალიზირებულია 680 პაციენტი.

ბ) 2022 წელს საწოლდღეების მიხედვით გატარებული იქნა 3409 საწოლდღე.

ინფექციური და კოვიდ განყოფილება:

2022 წლის მონაცემების მიხედვით, 2021 წელს მიღებული პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 561 პაციენტი, რომელმაც შეადგინა 3553 საწოლდღე.

ქირურგიულ-ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტი:

ქირურგიულ-ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, დეპარტამენტში მოთავსდა 1431 პაციენტი, პაციენტების ამ რაოდენობამ კლინიკაში გაატარა 3965 საწოლდღე.

კრიტიკული მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილება:

კრიტიკული მედიცინისა და ინტენსიური თერაპიის სამსახური ფუნქციონირებს 2012 წლიდან. განყოფილებაში დახმარება გაეწია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ 55 ავადმყოფებს სხვადასხვა ნოზოლოგიით. სულ განყოფილებამ 2022 წელს გაატარა 760 პაციენტი რაც შეადგენს 41100 საწოლდღეს.

პოლიკლინიკურ-პედიატრიული განყოფილება:

შპს „გორმედის“ მოსახლეობაზე მიწოდებული სამედიცინო სერვისებიდან წამყვანია პოლიკლინიკურ-პედიატრიული სამსახური, რომელსაც 2022 წელში გატარებული ყავს 95005 ბებეფიცარი, აქედან 18 წელი და მეტი 65403, 15-18 წლამდე ასაკის 29602 პაციენტი.

პალიატიური განყოფილება:

შპს „გორმედის“ პალიატიურმა განყოფილებამ 2022 წელს მომსახურება გაუწია ქრონიკული, უკურნებელი დაავადების მქონე პაციენტებს, რომლების საჭიროებდნენ პალიატიურ მზრუნველობას. სულ ასეთი პაციენტების რაოდენობამ შეადგინა 188 პაციენტი, 1335 საწოლდღით.

შპს „გორმედის“ ამბულატორიული სევისების მომწოდებელი განყოფილებების მიხედვით, შემდეგი მდგომარეობაა:

ფსიქიატრიული განყოფილება:

ფსიქიატრიის სამსახურში 2022 წლის განმავლობაში ამბულატორიული მკურნალობა ჩაიტარა სულ 9786 პაციენტმა. ფსიქიატრიული მომსახურება მოიცავს სათემო ამბულატორიული ფსიქიატრიული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ სამედიცინო მომსახურებას. ესაა პაციენტების მომსახურება კლინიკასა და ბინაზე, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და დაავადების ამბულატორიულად მართვა. ფთიზიატრიულ სამსახურში 2022 წლის განმავლობაში ტუბერკულოზის სავარაუდო შემთხვევაზე გამოკვლეული იყო 356 პაციენტი. კონტაქტში მყოფი 117 პაციენტი, პირველადი მომართვით გამოკვლეულია 241 პაციენტი, დადასტურებული შემთხვევით მკურნალობას გადიოდა 64, სენსიტიური - 51 პაციენტი, 13 რეზისტენტული პაციენტი.

სისხლის ბანკი:

მომსახურება გაეწია 2394 დონორს

განვითარების გეგმები:

2022 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო 2023 წელს იზრუნოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოებასა და ასევე ახალი სერვისების დამატებაზე, კერძოდ, ვფიქრობთ, გავხსნათ ახალი კარდიოქირურგიული განყოფილება, ვინაიდან ჩვენს რეგიონში ასეთი სერვისი არცერთ კლინიკას არ აქვს. არსებული სტატისტიკიდან გამომდინარე კი, ხშირად გვიწევს პაციენტების გადაყვანა თბილისში, რაც ხშიერ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის პაიენტის სიცოცხლეს. ასევე დირექტორატისა და ჯანდაცვის

რეგულაციებიდან გამომდინარე, იგეგმება კლინიკის აღჭურვა ახალი სამედიცინო აპარატურითა და მოწყობილობებით, კერძოდ, იგეგმება პაციენტის ახალი ინვაზიური მონიტორების, დიალიზის აპარატების, კომპიუტერული ტომოგრაფისა და ინფუზომატების შეძენა.

ინფორმაცია წილების ფლობის შესახებ:

2021 წელს შპს გორმედი გახდა სააქციო საზოგადოება „იავნანას“ 100 %-იანი წილის მფლობელი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იავნანა მედის“ 60%-იანი წილის მფლობელი. ასევე ჯგუფი 2020 წლიდან ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პულსარ დიჯიტალ“-ის 12,25%-იან წილს.

ინფორმაცია საკუთარი წილების შეძენის შესახებ:

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შპს „გორმედის“ დამფუძნებელია 100% -იანი წილით გივი სვანაძე.

დამატებითი განმარტებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ:

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ანალიზური მაჩვენებლები:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio). იგი ასახავს ჯგუფის უნარს, მიმდინარე აქტივებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2022 წლის ბოლოსათვის 6.15 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0);

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio). ეს მაჩვენებელი პასუხობს კითხვას, გაყიდვების შეწყვეტის შემთხვევაში, ჯგუფს შეუძლია თუ არა თავისი მიმდინარე ვალდებულებები დაფაროს იოლად კონვერტირებადი აქტივებით. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2022 წლის ბოლოსათვის 1.52 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) ეს მაჩვენებელი ასახავს ჯგუფის უნარს დაფაროს მომწოდებელთა მიმართ ვალდებულებები. 2022 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 3.83 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Providing funds for working capital ratio) იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 1.23 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.5);

უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.22 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ჯგუფში დაბანდებული სახსრები. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.15 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0);

უკუგება გაყიდვებზე -რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.26 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15.)

დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული ჯგუფის ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 5.2 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2021 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 3.0 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, ფინანსური რისკები:

საოპერაციო რისკების გარდა, კლინიკა საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კლინიკის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილის სიბ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შეძლებისდაგვარად ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ჯგუფი ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო აპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის

წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. შპს გორმედიში გასული საანგარიშო წლის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს როდესაც ორგანიზაცია გადაწყვეტილების მისაღებად აღმოჩნდა გაურკვეველ მდგომარეობაში. კერძოდ, შრომის ინსპექციის მიერ მიღებული რეგულაციები ეწინააღმდეგებოდა შრომის კოდექსით განსაზღვრულ კანონმდებლობას, მაგალითად, ორგანიზაცია ვერ ახერხებდა ადმინისტრაციული ღონისძიებები გაეტარებინა იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევდნენ ორგანიზაციის შუნგანაწესით დადგენილ ნორმებს. ასევე გარკვეული სახის პრობლემები გვქონდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთანაც, რადგან მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა იმ მოთხოვნების დაგვიანებულ შესრულებას რომელიც წარმოიშვა სამედიცინო სერვისების მიწოდებიდან, ხშირად ამ ვალდებულების შესრულება ხდებოდა ექვსი თვის დაგვიანებით, ამიტომ ჩვენი მხრიდანაც ხშირ შემთხვევაში ვერ სრულდებოდა მომწოდებლების მიმართ ნაკისრი ვალდებულებები ამიტომაც კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის მაჩვენებელი 2022 წელს 3.0 განისაზღვრა რაც რეკომენდირებულ 4.0 ზე ნაკლებია. აქვე, მხედველობაშია მისაღები სახელმწიფოს მიერ კოტირებები და ფიქსირებული ფასები, კორექტირებები, რაც ხშირ შემთხვევაში, იწვევს გარკვეული სახის ზარალს. ანგარიშგასაწევია აგრეთვე ისეთი რისკი, როგორიცაა ბიზნეს რისკი-კონკურენტი ორგანიზაციების მიერ კვალიფიციური პერსონალის გადაბირება. ამ რისკებიდან დასაღწევად ვვარაუდობთ კვალიფიციური თანამშრომლების მოძიებას, აყვანას, არსებული კადრების გადამზადებასა და შენარჩუნებას. მეტი ყურადღება მიექცევა სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზს და დროულად მოხდება მათზე რეაგირება, პრევენციული ხასიათის ქმედებების განხორციელება.

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია კლინიკის ხელმძღვანელობის მიერ. მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

თარიღი: 10 ოქტომბერი 2024 წ.

დირექტორი: ვლადიმერ კეპულაძე

ფინანსური დირექტორი: დავით სარალიძე

წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. შპს გორმედიში გასული საანგარიშო წლის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს როდესაც ორგანიზაცია გადაწყვეტილების მისაღებად აღმოჩნდა გაურკვეველ მდგომარეობაში. კერძოდ, შრომის ინსპექციის მიერ მიღებული რეგულაციები ეწინააღმდეგებოდა შრომის კოდექსით განსაზღვრულ კანონმდებლობას, მაგალითად, ორგანიზაცია ვერ ახერხებდა ადმინისტრაციული ღონისძიებები გაეტარებინა იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევდნენ ორგანიზაციის შუნაგანაწესით დადგენილ ნორმებს. ასევე გარკვეული სახის პრობლემები გვქონდა სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთანაც, რადგან მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა იმ მოთხოვნების დაგვიანებულ შესრულებას რომელიც წარმოიშვა სამედიცინო სერვისების მიწოდებიდან, ხშირად ამ ვალდებულების შესრულება ხდებოდა ექვსი თვის დაგვიანებით, ამიტომ ჩვენი მხრიდანაც ხშირ შემთხვევაში ვერ სრულდებოდა მომწოდებლების მიმართ ნაკისრი ვალდებულებები ამიტომაც კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის მაჩვენებელი 2022 წელს 3.0 განისაზღვრა რაც რეკომენდირებულ 4.0 ზე ნაკლებია. აქვე, მხედველობაშია მისაღები სახელმწიფოს მიერ კოტირებები და ფიქსირებული ფასები, კორექტირებები, რაც ხშირ შემთხვევაში, იწვევს გარკვეული სახის ზარალს. ანგარიშგასაწევია აგრეთვე ისეთი რისკი, როგორიცაა ბიზნეს რისკი-კონკურენტი ორგანიზაციების მიერ კვალიფიციური პერსონალის გადაბირება. ამ რისკებიდან დასაღწევად ვვარაუდობთ კვალიფიციური თანამშრომლების მოძიებას, აყვანას, არსებული კადრების გადამზადებასა და შენარჩუნებას. მეტი ყურადღება მიექცევა სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზს და დროულად მოხდება მათზე რეაგირება, პრევენციული ხასიათის ქმედებების განხორციელება.

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია კლინიკის ხელმძღვანელობის მიერ. მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

თარიღი: 10 ოქტომბერი 2024 წ.

დირექტორი: ვლადიმერ კეპულაძე

ფინანსური დირექტორი: დავით სარალიძე

